ხელშეკრულება № 3-2016 ს.გ.
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. რუსთავი 7 დეკემბერი 2016 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის მხარეთა უფლებამოსილების საფუძველზე

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთის მხრივ ააიპ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი (აქ და შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ნანა ზერეკიძის სახით, და

1.2. მეორეს მხრივ შპს „ ტალარია" (აქ და შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის უფლებამოსილი პირის ნინო კალანდაძის სახით.

მუხლი 2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია: cpv 37500000 თამაშები, სათამაშოები და ატრაქციონები; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, მაგიდის და მეხსიერების გასავარჯიშებელი თამაშების მოწოდება მიმდინარე საბაზრო ღირებულებით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება:

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1200 (ერთი ათას ორას) ლარს.

მუხლი 4. სტანდარტები

4.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სტანდარტებსა და შემსყიდველის მოთხოვნებს.

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1. საქონლის მიწოდების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2016 წლის 30 დეკემბრამდე.

5.2. საქონლის მიწოდების ადგილი: ქალაქი რუსთავი.

მუხლი 6. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის და/ან სასაქონლო ზედდებულის საფუძველზე.

6.2. მიღება– ჩაბარების აქტზე ხელს აწერენ მხარეები. "შემსყიდველის" მხარეს წარმოადგენს ორგანიზაციის შესყიდვების კოორდინატორი - ტექ.განყოფილების მენეჯერი თამარ ქურხული.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი) „მიმწოდებლის" ანგარიშსწორების ანგარიშზე.

7.2. ანგარიშსწორების ადგილია: ქალაქი რუსთავი.

7.3. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ერთჯერადად სახელშეკრულებო ჯამური ღირებულებით, ასევე ეტაპობრივად.

7.4. ანგარიშსწორების საფუძველია: შესაბამისი საქონლის მიღება–ჩაბარების აქტი და/ან სასაქონლო ზედდებული.

7.5. ანგარიშსწორების ვადა: წინამდებარე მუხლის „7.4" პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღე.

მუხლი 8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი.

8.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

1) გადაუხადოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის ღირებულება.
2) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

8.2. „შემსყიდველის“ უფლებები:

1) არ მიიღოს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული საქონელი.
2) „შემსყიდველი“ პასუხს არ აგებს „მიმწოდებლის“ მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე ან/და ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით წარმოშობილ ნებისმიერი სახის ზარალზე.

8.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

1) სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.
2) თავისდროულად და წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშერკულების პირობების შესრულების მოსალოდნელი ან არსებული შეფერხებების შესახებ.

8.4. „მიმწოდებლის“ უფლებები:

1) ხელშეკრულების პირობების შესრულების შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება.
2) „მიმწოდებელი“ პასუხს არ აგებს „შემსყიდველის“ მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე ან/და ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით წარმოშობილ ნებისმიერი სახის ზარალზე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

9.1. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს არ აუარესებს „შემსყიდველის“ მდგომარეობას.

9.2. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ცვლილების ინიციატორმა მხარემ მოტივირებული წერილობითი განაცხადით უნდა დაადასტუროს ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი.

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორული” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეტი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

11.1. ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის მიერ ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 იანვრამდე.

მუხლი 12. დავების გადაწვეტა.

12.1. მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

12.2. თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ საკამათო საკითხებს მოლაპარაკებების გზით, საკითხი დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 13. ინსპექტირების პირობები.

13.1. ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს „შემსყიდველი“ ორგანიზაციის შესყიდვების კოორდინატორი - ტექ.განყოფილების მენეჯერი თამარ ქურხული.

13.2. მოწოდებული საქონლის ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება “მიმწოდებლის” მიერ საკუთარი ხარჯებით.

მუხლი 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

14.1. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვადის დარღვევისთვის “მიმწოდებელს” ეკისრება პირგასამტეხლო თითოეულ დაგვიანებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%, თუ პირგასამტეხლოების ჯამური ღირებულება მიაღწევს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, “შემსყიდველს” უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება “მიმწოდებელთან”.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

14.3. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” ზემოაღნიშნული საჯარიმო სანქციებისგან.

14.4. აღნიშნულ ჯარიმას იხდის “მიმწოდებელი” საკუთარი სახსრებით ან გამოუქვითავს “შემსყიდველი” მოსაწოდებელ საქონელზე გადასახდელი თანხიდან.

ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ორ ეგზემპლარად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	“მიმწოდებელი”
ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“ მის: რუსთავი, მესხიშვილის II გას №3 ს. კ. №216442446 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კ № TRESGE22 ანგარიშსწორების ანგარიში № GE24NB0330100200165022	შპს „ ტალარია“ მის: ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. #13-17 ს. კ. 204542860 ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE 06 TB 1959036020100001
ააიპ „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“ დირექტორი ნანა ზერეკიძე	შპს „ტალარიას“ დირექტორის უ. პ. ნინო კალანდაძე
ბ.ა	ბ.ა